ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 10

12 თებერვალი 2026 წ. **ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2**
12:00 სთ

სხდომა ჩატარდა სარევიზიო და იურიდიულ საკითხთა და ადამინის უფლებათა დაცვის კომისეიბთან ერთად.
მოწვეული სტუმრები:
შიდა აუდუტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსი-გიორგი ხვედელიძე
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა
სხდომას ესწრებოდნენ
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე.
კომისიის წევრები- გიორგი დოხტურიშვილი, ბექა **მიქაუტაძე,**ზურაბ აბაშიძე, ლევან აბაშიძე,ალექსანდრე მუკათარიძე, ვაჟა კოკაია, დავით ფანჯაკიძე, ირაკლი ბენდელიანი.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
გაერთიოანებული კომისიების სხდომას თავმჯდომარეობდა ნინო ვარდოსანიძე.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი:
1. შიდა აუდიტის 2025 წლის ანგარიში. **საკრ.№15-0326030161-03 30/01/26წ**
2. .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. **საკრ.№15-032602881-03(11-01260282082 28/01/2026)**
დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ინფორმაცია „შიდა აუდიტის 2025 წლის ანგარიში“

მომხსენებელი-გიორგი ხვედელიძე.

გიორგი ხვედელიძის მოხსენებით, ანგარიში მოიცავს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მიერ ჩატარებულ შიდა აუდიტორულ შმეწმებებს და გატარებულ ღონისძიებებს, რომელიც განხორციელდა 2025 წლის განმავლობაში.

მან აღნიშნა, რომ წლიური გეგმით გათვალისწი8ნებული შემოწმების ფარგლებში განხოციელდა 4 შიდა აუდიტორული შემოწმება, ხოლო 1 შიდა აუდიტორული შემოწმება განხოციელდა 2024 წლის გეგემის ფარგლებში.

ჩატარდა შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტები. მან ვრცლად ისაუბრა აღნიშნულის შესახებ და აღნიშნა, რომ შემოწმების შედეგად გამოვლენილი მიგნებებზე გაცემული იქნა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულებისათვის განისაზღვრა ვადები.ზოგ შემთხვევაში შემოწმების მასალები გადაიგზავნა საქართველოს პროკურატურაში.

რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი გათვალისწინებულია შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2026 წლის შიდა აუდიტის წლიური გეგმით.

„შიდა აუდიტის 2025 წლის ანგარიში“ს მოსმენა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.კომისიის წევრების შეკითხვებზე განმარტებებს აძლევდა გიორგი ხვედელიძე.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ , **ქონების მართვის და საფინანსოსაბიუჯეტო კომისიის წევრებმდა ცნობად მიიღეს ინფორმაცია „შიდა აუდიტის 2025 წლის ანგარიში“ს შესახებ.**

პირველი საკითხის მოსმენის შემდეგ ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ გააგრძელა მუშაობა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

მომხსებელი-ლევან მიქავა.

ლევან მიქავას მოხსენებით, ქვეპროგამის "სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა" (პროგ/კოდი 06 02 07) პირველ კვარტალის გეგმას ემატება 162 000 ლარი. ა(ა)იპ "სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ესაჭიროება პერსონალური კომპიუტერებისა და პლანშეტების შეძენა, რისთვისაც საკმარისი რესურსი არ გააჩნია პირველ კვარტალში. 250 000 ლარი ემატება პირველი კვარტლის გეგმას ქვეპროგრამაში „კეთილმწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში“(პროგ/კოდი 01 09 11). 500 000 ლარით იზრდება ასევე სარეზერვო ფონდი (პროგ/კოდი 10 22)-ოპერაციების დასაფინანსებლად.
საერთო ჯამში გადასახდელების პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 912 000 ლარით. დაბალანსება ხდება კაპიტალური სპეციალური ტრასფერის (250 000 ლარი) და ნაშთის ცვლიელებით (662 000 ლარი)
მომხრე-9
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი,“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტო და ნაძალადევის რაიონული გამგეობა ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ლევან არველაძე**